ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01261282091**
გაცემის თარიღი: **13/05/2026**

ადრესატი: ლევან ცაავა
პირადი ნომერი: 62001038422
მისამართი: სოხუმი ცხაკაიას ქ. N 64

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ,,ცალკეული ბაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის №46-87 დადგენილების შესაბამისად, გაცნობებთ:

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, გარეჯის ქუჩა N1-ის მიმდებარედ დროებითი ღობის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, დანართში მოხიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოსთან შეთანხმებული დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების სრული დაცვით.

2. სამუშაოების დაწყებამდე, განმცხადებელმა უზრუნველყოს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილების და შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის წარდგენა ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, შესათანხმებლად. საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა ძალაშია დაინტერესებული პირის მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან/ორგანოებთან შეთანხმების შემდგომ. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის პირობ(ებ)ი შეიცვლება სხვა ადმინისტრაციული ორგანო(ებ)ის მიერ, დაინტერესებული პირი ვალდებულია სააგენტოს მიმართოს შეცვლილი პირობ(ებ)ით საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის შეთანხმების მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა შეთანხმებულად არ ჩაითვლება.

3. პროექტით განსაზღვრულ მონაკვეთში სამუშაოების დასრულების შემდგომ, ყველა ტიპის საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებები უნდა იყოს აღდგენილი პირვანდელი სახით.

3. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 180 (ასოთხმოცი) კალენდარული დღის ვადით.

დანართები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/im0uAfD1oxPzyle

(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

გადაწყვეტილების გასაჩივრება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7)

მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი